კორპორაციული საფარველის გაჭოლვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში

(შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და გერმანული სამართლის მაგალითზე)

თამარი ორთოიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სვანაძე, Dr. jur., LL.M., MLB (Bucerius/WH)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარი ორთოიძე,

30 იანვარი 2021 წელი

აბსტრაქტი

კორპორაციის შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი ფორმა ყველაზე გავრცელებული ინსტიტუტია საკორპორაციო სამართალში. სამართლიანობის პრინციპისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საფარველის გაჭოლვის დოქტრინა, რომელიც გულისხმობს კორპორაციის ვალდებულების პარტნიორისთვის და/ან დირექტორისთვის დაკისრებას. წინამდებარე ნაშრომი ქართულ და გერმანულ სამართლზე დაყრდნობით ასახავს გამჭოლი პასუხისმგებლობის არსს, დანიშნულებასა და კრიტერიუმებს.

ნაშრომი მიზნად ისახავს შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე ხაზი გაუსვას გამჭოლი პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, და წარმოაჩინოს ქართული სამართლის პრობლემური ნაწილები პარტნიორის პასუხისმგებლობის საფარველის გარღვევასთან მიმართებაში. კონკრეტული ინსტიტუტების შესადარებლად გამოყენებულია ანალიტიკური, სისტემური, თვისობრივი, შედარებით-სამართლებრივი და აღწერილობითი მეთოდები.

წლების განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობაში კორპორაციის საფარველის გაჭოლვის ნორმატიული საფუძვლის არსებობის მიუხედავად, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არ იყო კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინა ჩამოყალიბებული. შესაბამისად, არ ხდებოდა სამეწარმეო სამართალში არსებული ნორმატიული დებულებების საფუძველზე კორპორაციის ვალდებულებისთვის პარტნიორის პირადი პასუხისმგებლობის დადგენა. ახლად დამკვიდრებული პრაქტიკის საფუძველზე, მართალია, საქართველოში ჩამოყალიბდა და დამკვიდრა გამჭოლი პასუხისმგებლობა, თუმცა ქართული სამართლის განვითარებისთვის აუცილებელია უფრო მეტი მოსაზრებისა და განმარტების ჩამოყალიბება, როგორც სამეცნიერო, ისე სასამართლო თვალსაზრისით.

ავტორის მიერ, სამაგისტრო თემისა და პრობლემების გამოკვლევის შედეგად, ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია ქართულ სამართალში გამჭოლი პასუხისმგებლობის განვითარების რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *გამჭოლი პასუხისმგებლობა, შეზღუდული პასუხისმგებლობა, პარტნიორის პასუხისმგებლობა, საკორპორაციო სამართალი*

Abstract

The legal form of corporation limited liability is the most common institution in corporate law. Case law of various countries established a Doctrine of Piercing the Corporate Veil, which holds corporation's shareholders and/or directors personally liable for corporations acts or debts, in order to protect the principle of fairness and the interests of creditors. This paper discusses the essence, purpose, criterions, and approaches established in Georgian and German doctrine and case law.

The paper aims to emphasize the importance of piercing of corporate veil theory based on comparative-legal analysis, and to present the problematic parts of Georgian law in relation to the Doctrine. The comparison of specific institutions is constructed based on analytical, systematic, qualitative, comparative-legal and descriptive methods.

For years, despite the existence of a normative basis for piercing the corporate veil in Georgian law, the Doctrine has not been established in Georgian case law. Accordingly, corporation shareholders were not held liable for corporation's obligations/debts on the basis of the Law of Georgia on Enterpreneurs. The newly adopted case law of Georgia established corporate veil piercing doctrine, however necessity to develop the practice and commentaries is crucial for Georgian law, both from a scientific and judicial point of view.

The Author concludes the paper with recommendations and suggestions to develop the Doctrine of Piercing the Corporate Veil in Georgian Legal System.

Keywords: *Piercing the corporate veil, Corporate Coverage, Limited Liability, Shareholder Liability, Corporate Law*